ნ ი ნ ო ო ბ ა

№ 3—1917
შაბათი იანვარი 14

წელ. მეხუთე გამოცემისა

ფასი 15 კ.

დეპუტ. ა. ჩხენკელი ავადაა.

წმ. ნინო—მოციქულთა სწორი
(ნახატი ზ. ჩისა)

„მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერათ ჯვარი,
რომ ადადგინოს ქართველი დედა,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!“

შინაარსი

1, **მეთაური**—ქართველი ქალის დღეობა.— 2
2, **ს. კაეშნიშვილი**—წმ. ნინო, ილოცე ჩვენთ 3
3, **ვ. რუხაძე**—ძველ სატრფოს . . . . . . , . „
ა, **დ. ახვლედიანისა**—ქართველ ქალის მოვალეობა. . . . . „
5, **იასამანი**—ტარას შევჩენკოდან (უკრაინ.) 5
6, **დიმიტრი ი. ყიფიანი**—წრთვნა სულისა, მისი ხელნაწერ. გამოკრ. ნინო ყიფიანის-მიერ „
7, **პეტრე ქურციკაშვილი**—ჯვარის კაცი . 6
8, **გუგული**—მეგობრული საუბარი 7,
9. **ი—ელი** ნ. ა. ტარსაიძე 8,
10 **ერმალოზ კახი**—ქალთა საკითხი ჩვენში „
11 **ერთაწმინდელი**—დანდი 9,
12, **ი—ი—**ომის მსხვერპლი ს. ი. ხომერიკი „
13, **გრ. საქარიქედელი**—მოხე მწერალი 10
14 **იოს. არიმათიელი** ნაშთი ძველი დიდებისა

იანვრის 3

ქართველი ქალის დღეობა.

ნინოობა—ქართველი ქალის დღეობაა!..

წარმართ საქართველოს, წყვდიადში ჩაფლულ ქართველ ერს ისტორიამ თითქმის განგებ მოუვლინა ქალი განმანათლებელი—ახალი ცხოვრების გზაზე გამომყვანი—იმის ნიშნად, რომ დაცემულ ერს მხოლოდ ქალი იხსნის და თუ ოდესმე საქართველო დაემხო, თვითცნობიერება დაჰკარგა, გაორჭოფდა, განიბნა, ისევე ქალმა აღადგინოს, შეადუღაბოს და ახალ ცხოვრებას გზა გაუკვლიოსო!.

და მერე ვინ იყო იგი პირველი ქალი, რომელმაც მთელი ჩვენი ძველი ცხოვრება ძირფესვიანად შესცვალა?— ვინმე დიდებულთაგანი, სრა-პალატებში დაბადებული, ბრწყინვალე გვაროვანთაგანი!?

არა და არა!—

იგი იყო უბრალო ტყვე ქალი, აგებულობითაც სუსტი, ნაზი ქნილება, გარნა მტკიცე ხასიათისა და მაღალი მისწრაფებით აღგზნებული.

ერთმა სუსტმა არსებამ, სასტიკი ომი გამოუცხადა ძველ რწმენას-შეხედულებას, დასცა და შემუსრა მისი გამომხატველი კერპნი და სამაგიეროდ ახალი მცნება განამტკიცა,—

მცნება ძმობის, ერთობის, თანასწორობის და სიყვარულისა!

ერს ჩაუნერგა თვით არსებობის რწმენა!

და მას შემდეგ, თუმცა ქართველმა ერმა ამ მცნების მტკიცე დიცვისთვის ბევრი სიმწარე იგემა, მაინც აგერ თექვსმეტ საუკუნეზე მეტია მას იცავს და, ქრისტიანული განათლება დღემდე მოიტანა.

ნინოს ღვაწლი თუ ესოდენ ძლიერი, დიდი და საჭირო იყო იმ დროს, როდესაც ჩვენ თავის პატრონი ჩვენვე ვიყავით,—ახალი ნინოს—ახალი განმანათლებლისა და ქართველთა გამთვითცნობიერებელი ქალის მოღვაწეობა კიდევ უფრო საჭიროა დღეს...

ჩვენი ეროვნული ცხოვრების თითქმის ყოველი დარგი საჭიროებს ქალის არა თუ დახმარებას, ხშირად მესვეურობასაც, მაგრამ იგი უფრო საჭიროა დარღვეული ოჯახის აღადგენათა და სწავლა-განათლების გასავრცელებლად ..

ჩვენი სოფელი სიბნელეს მოუცავს და მუნ კერპთ თაყვანისმცემელი ფარისეველნი პარპაშებენ,—საჭიროა ახალი ნინო ცრუ-სარწმუნოების გამფანტველი და კერპთ დამამხობელი

ჩვენს ძმთა—ქართველ მუსულმანთა შორის უკვე მასწავლებლობს რამდენიმე თავგამოდებული, ქართველი მასწავლებელი ქალი, გარნა ეს წვეთია ზღვაში!..

ვითარცა ჩვენმა პირველმა განმანათლებულმა დედა—ნინომ მოვლო ჩვენი ქვეყნის მთა-გორიანი უდაბური ადგილები და ყველგან ნათელი შეიტანა, ასევე ჩვენი დროის ქართველმა ქალმა თავი უნდა გადასდოს და დაქსაქსული, ბნელში ჩაფლული ერი სწავლა განათლებისა, მეცნიერებისა და ეროვნული გათვითცნობიერების მცნებას აზიაროს...

და ქართველი ქალიც სწორედ მაშინ გადიხდის ნამდვილ დღესასწაულს—თავისი უბრწყინვალესი წინაპრის, მოციქულთა სწორის წმ. ნინო ქართველთა განმანათლებლის ღირსეულ ზეიმს!..

ქართველო ქალო! რა წრესა და წოდებასაც უნდა ეკუთვნოდე, განიმსჭვალე უმაღლესი ხალხოსნური მისწრაფებით და დასძარ ინული ჩვენის გათოშილ ეროვნუ—ცხოვრებისა!

ნინო
(მწერალი ქალი
ნაკაშიძე)

ნინო
(მსახიობი ქალი
ნ. დავითაშვილი)

ნინო
(მსახიობი ქალი
ნ. ჩხეიძე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდაო ნინო, ილოცე ჩვენთვის..

შენ ხომ პირისპირ იხილე მაცხოვრადლეველი ნათელი. შენ ხომ თანამოსაყდრე ხარ ფერადებულის ჩვენის მარიამისა და დღეს, საქართველოს ყველა კუთხეში გიგალობენ შენ. რა უყოო, რომ ზოგან უცხო ენითაც მოგასმენენ ლოცვას. რა უყოთ რომ შენს დაღლილ ძვლებს ბევრი ჩვენგანი ვერ დაფარქვეს ცრემლებს. რა, რა უყოთ, რომ შენ მაყლოვან ბუჩქს მრავალი გარეწარი აუვლიდა გვერდს, რა უყოთ.. ნესტანის არ იყოს: „რისთვის მიბრუნდა ჩვენზედ ბორბალი ცისა შიდისა“ სამაგიეროდ დღეს სიონის ზარი აქვითინდება მრავალ ქართველთან ერთად.. დღეს მრავალი უცხოეთის ცის შემყურე მოგიგონებს შენ... რომ ქართველნი ოქროს ჩაფხუტისან არმაზს უზარვიდნენ, შენ ცად ანაყრდენი შეჭღოდადებდი ყოველად შემძლებელს, რათა მას ეცნო მათთვის ეშმარიტება. დღეს მრავალნი უცხოელნიც უზარვიან არა ნაკლებ მრისხანე არმაზს, და ჩვენც მათ მიერ დანთებულ ცეცხლში ჩხიმლებად ვეხმარებით... მაშ, ილოცე ნინო, ილოცე ჩვენთვის!

ს. კაციშვილი

ძველ სატრფოს

ბაღჩაში იდეგ. ბროლის თითეოთ ფერად ყვავილთა თაიგულს ჭკრავდი... მე კი შენს სახელს ცეცხლის ოითებით გულზე ვიწერდი და ვიძარკვდი.

გიშრის დალლნი, ვინ შავი გველი, ყელზე ორკეცად შემოგეხვია... ენატრობდი: ნეტა ეს ჩემი ხელი იმ ნაწნავებთან ერთად გხვევდა

მაგრამ გატყობდი, ნაზი ლიმილი მარჯნის ტუჩებზე რომ დაცეცქვიდა,— ნაშინ ოცნება შენი, ფოთა შლილი, სულ სხვის უხმობდა, სულ სხვას ხედავდა!

შენ მეფე იყავ, მე—მონა შენი, მაგრამ ვერ გაძლობდი გრძნობით დამთვრალი, და ალე ჩუმად, გულს ანაგზენი, გვწვავდა ორივეს სხვა და სხვა ალი.

და დღეს, როდესაც ამოშრა სრულად გრძნობის აუზი—ტრფობის შმობელი, ნუ თუ არა გაკვს ის სინანულად, რომ ვერ იცანი შენი მკობელი?



ქართველ ქალის მოვალეობა

„აღზრდე შვილი, მიეც ძალა სულს, საზრდოთ ხმარობდე ქრისტესა მკნებას, შთაუნერგავდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“!..

ილია ჭავჭავაძე

ჩვენი მგოსანი აკაკი თავის ლექსში ქართველი ქალის პირით ღვთისმშობელს ასე ევედრება:

„მოგეც კურთხევა ზეციო, მფალო, და გადმოსხეე ძალიერი ჯვარი, რომ ადგეგინო ქართველი ფალო, დღეს დაგემუდი და ცოცხალ-მკვდარი!“-ო.

არა მგონია, ეს სიტყვები პირტო ქართველი ქალის ანუ ვაჟის დამხასიათებელი იყოს. ეს სიტყვები თანასწორად ეხება საზოგადოთ ფალეანდელ ქართველებს—როგორც ქალებს ისე ვაჟებსაც.

ყველასათვის ნათელია, რომ დღეს ქართველი ადამიანი, ქალია ის თუ ვაჟი, თითქმის ყველა

„დაგემუდი და ცოცხალ-მკვდარია“.

ამ თვალსაზრისო ეეშმარიტების დასაბუთებას აქ არ შეუფდგები,—ჩემი მიზანია—მოკლედ გამოვარკვიო, რა მოვალეობა აძეკს ფალეანდელ ქართველ ქალს, ვინაიდან ამ საგანს ფიდი კავშირი აქვს საზოგადოთ ფალეანდელი ქართველებს ფალმარეობასთან.

ფალეანდელი ქართველი დაცემულია, მას დაუკარგავს სულის მხნეობა, ხასიათის სიმტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კო�d; უცხო სკოლას დაუბამს მისი ენა, მისი გონება—და იგი წარმოადგენს სულთმობრძავ არსებას, რომელსაც თითქო სიცოცხლის პირი არ უჩანსო...

მაგრამ არა! ტყუილად არ აბმობს იგივე ჩვენი მგოსანი:

„ჯრ მომეყვარა, მხოლოდ სძინავს—
და ისევე გაიღვიძება!“

ლღეანდელი ქართველი მხოლოდ ლროებითი სენით არის დაავადებული; ეს სენი მეტად საგრძნობელი, მეტად შემძიროწუნებელი და ჩვენი ცხოვრების წინსვლის დამაქვეითებელია, ხოლო არა რა არს უსაშველო: მისი განკურნება კიდევ შესაძლებელია—და უპირველესი როლი მკურნალობის, ჩემის აზრით, ქართველმა ქალმა უნდა იკისროს.

ქართველმა ქალმა!..

მაგრამ ლღეანდელ ქართველ ქალს, ლღეანდელ ქართველ ლედას, ამ „დაცემულსა და ცოცხალ-მკვდარს“ არსებას, განა შეუძლია იკისროს ასეთი დიადი საქმე?!.

აი, საკითხი, რომელზედაც მრავალი უსათუოოთ უარყოფით უპასუხებს; მე კი მგონია, ამგვარი უიმედობა ქართველი ქალისადმი საფუძვლიანი არ არის, იმიტომ რომ ლღესაც მრავალ ქართველ ქალს შეგნებული აქვს თავისი ნაკლულევანება, თავისი „ცოცხალ-მკვდრობა“ და ცდილობს გამოცოცხლდეს, გაჯანმრთელდეს. ამ გვარი შეგნება კი თავლებია იმისა, რომ ეს გაჯანმრთელება და გამოცოცხლება უსათუოდ შესაფერ ნაყოფს გამოიღებს და ახლო მომავალში ჩვენს ქვეყანას არა ერთი და ორი გათვითცნობიერებული, ლროს შესაფერად გონებრივად და ზნეობრივად განვითარებული ქალი ეყოლება.

ამ სახით, სანამ ქართველი ქალი თავის

დიად როლს, მომავალი ქართველი თაობის კანაკენ ალზრდას, იკისრებდეს,—უპირველესად ყოვლისა ამ როლისათვის უნდა მოემზადოს.

და რა არის საჭირო ამისათვის, რომ ქართველმა ქალმა შესძლოს მომავალი ქართველი თაობის წესიერად აღზრდა?

პირველად ენა, სამშობლო ენა, რომელსაც ამღზდელი ლედა აკენინავედ უნდა ნერგავდეს ყრმას და ამავე ენით უვითარებდეს აზროვნობისა და მეტყველობის ნიკს: მშობლიური ალერსი ენით გამოთქმული, არის პირველი წყარო, რომლიდანაც შემდეგი უნდა ამოჩუხრუხდეს და ამეტყველდეს ყმაწვილის გრძნობა, ფიქრი, აზროვნება, ლა თუ ცხოვრების სათავის ეს წმინდა წყარო შეიპილწა, მისგან მომდინარე წყალი, რაც უნდა ეცადოთ, შემდეგ სავსებით ვერ დაიწმინდება.

ქალი ბუნებით ისეა შექმნილი, რომ ქალდ—ლედ უფრო ახლოა ყმაწვილთან, ვიდრე ვაჟი—მამა, და ამიტომაც პირველ ხანებში ყმაწვილები უმთავრესად ლედის გაელენით იზრთვნებიან, ცხოვრების საძირკველი ლედა-ქალის ხელითა და გონებით ისკვნება—და, ვაი, მისი ბრალი, ვისი ცხოვრების საძირკველიც უგულო და უსულო ალამანის გონებითა და ხელით გასკვნილა!..

„ალზარდე შვილი, მეცე ძალ სულს,
საზრდოთ ხმირობდე ქრისტეს მცნებას,
შთაუნერგავდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავგასუფლებას,—
რომ საკეთისთვის კუდი უთმოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს“...

აი, სახელმძღვანელო აზრები, რომელიც ქართველი ქალისათვის უანდერძნია დიდებულ მგოსანს!

და, რომ ეს ანდერძი ზუნინდა შეასრულონ, პირველად თვით აღმზრდელნი უნდა გაიმსკვლონ ქრისტეს მცნებით, კაცთმოყვარეობით და ქვეყნისათვის თავდადების გრძნობით...

ჩვენი ერის ცხოვრება რომ დამოუკიდებელად ვითარდებოდეს, ჩვენი ერის წინსვლა რომ უშვერი ძალმომრეობით არ ფერხდებოდეს, ამ შემთხვევაში დედისაგან მხოლოდ საკაცობრიო მისწრაფება ლოითხოვებოდა, რომელიც ზშვენივრად არის გამოხატული ზეკეთ მოყვანილ ჩვენი მგოსნის სიტყვებში; მაგრამ ლღეს ქართველი ლედა, პაწია ქართველს, საზოგადო კაცობრიულ გრძნობასთან ერთად, უნდა შთაბეროს ეროვნული სული, შეგნება თავისი შობილი ერის დანაგარული მდგომარეობისა, და ჩვენი კულტურული წინსვლის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისა. რაც შეეხება მოქალაქობრივ მოღვაწეობას, ამ ასპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზზე ის ქალები უნდა გამოდიოდენ, რომელნიც ამ სფეროში რაიმე ნიჭიერებას გამოიჩენენ, საზოგადოთ კი არავინ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცხოვრებაში შრომის განაწილებაა საჭირო: ქალს თავიდანვე ოჯახი ხვდომია და ოჯახის ფუძის განმტკიცება მან უნდა იკისროს. აგრეთვე ხელი უნდა შეუწყოს ქალ-ვაჟთა თანასწორ ნიადაგზე აღზრდასა და განვითარებას, რომელიც დიდმნიშვნელოვანია მომავალი თაობის თავისუფლებისა.

თუ საზოგადოთ დედა ვალდებულია ფხიზლად მოეკიდოს მომავალ თაობას, ყველაზე მეტად ვალდებულია ის დედა, რომელიც ეკუთვნის დაჩაგრულ ერს, რათა აღზარდოს შვილი მოჭირისუფლე მამულისა და საკაცობრიო იდეალების მატარებელი.



ტარას შევჩენკოდან

(უკრაინულიდან)

ერთია ჩემთვის, უკრაინაში
თუ სხვაგან სადმე განვაგრძობ ჩემს დღეს,
გავახსენდები ვინმეს, თუ თოვლში
ის უცხოეთში გადამივიწყებს,—
ერთია ჩემთვის ყველაფერი ეს ..

უცხოთა შორის მონად აღვზრდილვარ,—
და ჩემიანთგან დაუტირალი,
მონადვე ჩავალ საფლავს, და ჩემგან
არა დარჩება მცირედიც კვალი—
ჩვენსა მშვენიერს უკრაინაში,
ჩვენს—და არა ჩემს—მშობელ მიწაში.

ვერ მომიგონებს მამა შვილთანა,
ვერ ეტყვის შვილსა: „ილოცე მისთვის,
ილოცე, შვილო, ოდესღაც იმან
სიცოცხლე დასთმო უკრაინისთვის“.

ილოცვენ, არა,—ერთია ყველა!
მაგრამ როს მტერი უკრაინასა
გაქურდავს, არსით ექნება შველა,—
შემდეგ გადასცემს გამაქროს ალსა,
ნაშთი დარჩება იმისგან ფერფლის,—
ოჰ, ეგ სულ ერთი არაა ჩემთვის!

გორი.



დიმიტრი ივ. ყიფიანი (1814-87)

წრთვნა სულისა

დიმიტრი ყიფიანისა,

მისი ხელნაწერიდან გამოკრებილი

ნინო ყიფიანის მიერ.

შესავალი

დიმიტრი ყიფიანის შესახებ ხშირად გამიგონია:

— რა იყო მიზეზი, რომ ესოდენ ჭკვიანი, ზედმიწევნით მცოდნე ნაკისრი საქმისა და მტკიცედ აღმასრულებელი თვისი მოვალეობისა, სამსახურში ვერ იყო ღირსეულად დაფასებული და იმდენად წარჩინებული, როგორადაც ეს მას ეკადრებოდაო.

ამ კითხვის პასუხი სრულიად ცხადი და მარტივი შეიქმნა, ჩემთვის მაინც, როდესაც დიმიტრი ყიფიანის ერთი ნაწარმოები „წრთვნა სულისა“ („школа духа“) წავიკითხე. ეს ნაწარმოები მშვენივრად ახასიათებს მის პიროვნებას, როგორც მთავრობის მოხელისასაც და მასში აქა-იქ გაფანტული ზოგიერთი დიალოგები აშკარად იძლევიან პასუხს ზემოხსენებულ კითხვაზე, რომ სიმართლის ისე მოურიდებლად, ისე მკვახედ პირში მთქმელ კაცს, უეჭველია, მაღლა არ აუშვებდნენ და, რამდენათაც კი შეიძლებოდა, ყოველ ღონეს იხმარდნენ, სულაც თავიდან მოეშორებინათ· მხოლოდ მისი იშვიათი ჭკუისა და საქმიანობის მოწყალებით იყო, რომ ბოლოსდა ბოლოს დენერლის ხარისხამდე მაინც მიაღწია.

ეს ნაწარმოები თავის დროზე სულ დაიბეჭდება და ეხლი კი მისი პიროვნების გასაშუქებლად ზოგიერთის ?ის დამახასიათებელ დიალოგებს ამოვკრებთ დაინტერესებული მეთხველისათვის.

I

როდესაც დმიტრი ყიფიანი მთავარ-მართებლის კანცელარიაში მსახურობდა და განყოფილების უფროსად იყო, სამოქალაქო მართველობის უფროსად ყოფილ ვინმე გურკო, იისად ალექსანდრეს ძე. ერთ შემთხვევას, როდესაც მას თურმე მოხსენებას უკითხავდა, დმიტრი ყიფიანი ამნაირად გადმოგვცემს:

„მართველობის საქმეებისა გურკოს სრულებით არა გაგებული რა. მაგრამ პატივისმოყვარულობა კი დიდი ჰქონდა და რასაც მეტად ცდილობდა ამ უცოდინარობის დაფარვას, მით უფრო ცხადი ხდებოდა ეს მოხსენებლ მთან ამის უთანგბოლო შეკამათებაში. ამით მთა ბევრს დროს აკარგვინებდა და საქმეების შეფერხება ახსნა-განმარტების დროს ხანდახან უკმეხობას იწვევდა. ეს კი იქამდინ მიდიოდა, რომ ჩვენს გურკოს დიდებულობა და ეგრეფდწოდებული თავშიაღება ემატებოდა.

— თქვენ ასარულეთ ჩემი უმაღლესი ბრძანება (повелѣніе)? — შემომეკითხა ერთხელ მოხსენების დროს.

— ნებას მივცემ ჩემს თავს თქვენთვის ეკითხოთ, რომ...

— როგორ მიბედავ მე რჩევის მოცემას?

— მაშ მოგახსენებთ უბრალოთ, რომ თქვენ ყოველ გვარად ერიდეთ სიტყვა უმაღლეს ბრძანების ხმარებასა.

— რადაო?

— იმად, რომ უმაღ. ბრძანებას იძლევა მხოლოდ ხემწიფე იმპერატორი და არავინ სხვა!

გურკო მთლ. ფ. გაშტერდა.

— ჰა! მე უნდა მეთქვა — ჩემი ბრძანება მეთქი.

— ბრძანება შეგიძლიანთ მხოლოდ თქვენი დაწესებულებისა და ლაქიების; ჩვენ კი ხელმწიფის მოხელენი ვართ!

— მაშ, როგორ? რანაირადღა უნდა ვსთქვა ხოლმე ამის შემდეგ?

— შეგიძლიანთ დაგვავალოთ; შეგიძლიანთ გეთხოვოთ, იცით რა კარგად, რომ თხოვნას ყველა ჩვენგანი ბრძანებად მიიღებს. სამოქალაქო სამსახურში მიღებული არ არის მკვახე ლაპარაკი. ჩვენ ხომ, ბევრად თუ ნაკლებად, განათლებული ხალხი ვართ და განათლება, როგორც ეს თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, ყველას გვათანასწორებს.

ამ ჩემმა საქციელმა ისეთი დამაწყნარებელი შთაბეჭდილება იქონია გურკოზე, რომ შემეცოდა კიდეც.

მაგრამ ეს იმას, რასაკვირველია, ვერ გარდაჰქმნიდა.“

ჯარის ვაცი

(ჯარისკაცის პატრა ქურციკაშვილის მოწერილი ლექსი ,ვედ. გელოვანის-მიერ გადმოცემული.)

ოხერო წუთის სოფელო
ზარავ-ნდვიდით მწარეო,
სად გადაჰკარგავ ვაჟკაცსა,
საით სადამდე ავლეო.
ვამე რა ძნელი ყოფილხარ
ოხერ სხვა და სხვის მხარეო;
სხვა მხარეს ქართველთ შვილებსა
გეტანჯავენ დღე და ღამეო.
ბევრ ლომის მზგავსი მოგვიკლეს,
ღმერთო შენ, ჩაიბარეო;
დაგვაკლდა ქართველთ შვილები,
ჩვენ დავრჩით მგლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრული საუბარი

— თქვენ წადით სახლში! მეკი ვახშმისათვის საპმელს ვიყიდი და ახლავე მოვალ— უთხრა გიორგიმ თვის მეგობრებს შალვას და გარსევანს და შეუხვია ღუქანში. შალვა და გარსევანი სახლში მოვიდნენ, აანთეს სანათი და შემოუსხდენ მაგიდას გიორგის მოლდინში.

— გარსევან, კარი ითახი გიქირავნიათ შენ და გიორგის.

— ჰა, არა უშავს-რა!

— რა ვქნა, სად ჯანდაბაში წავიდა გიორგი? რატომ არ მოდის?

— მოვა, კაცო! რა გეჩქარებს? ეს ღვინოხომ აქედან არსად გაგვექცევა!

ფარდა ჩამოფარებულ ფანჯარაში დაარახუნეს

ვინ არის?

— კვლავ მოისმა რახუნი.

— გიორგი, ხომ ვიცით, შენა ხარ! რას მასხრობ? შემოდი...

— შემოდი კაცო!

კვლავ დაარახუნეს.

— ახლა მე რომ ეს სრული თხზულება ბუშენისა ავიღო და ფანჯარას ესტყორცნო, რა გგონია, გაამტვრევს ფანჯარას, მოხვდება გიორგის და გიუტეხავს მას თავს თუ არა?

— ვერა! გიორგის თავი ქვასავით მაგარია. მუხის ფიცრებს იმტვრევს თავზე!

— ამფერი, ჩემო გიორგი! ფუტურისტი ხარ ნიღა!

უფრო ენერგიული რახუნი მოისმა.

— ამბობენ, ვინც მარტოარახუნებს და კი არაფერს ლაპარაკობს, იმას მუნჯს უწოდებენო.

— ეხლა გაიგე, რომ გიორგი მუნჯია? რაც ის გუშინ სალამოს თვის »ოლ-ოლ-მა« ლანძღა, განა მეტყველი პასუხს არ გასცემდა?

— იქნება ყრუც არის

— შესაძლოა.

ფანჯარაზე კვლავ დაარახუნეს.

— აი, რაში გამოიხატება მოუხეშაობა და უგრძნობლობა ადამიანისა. აქნობამდი მე თითები ხუთჯერ დამემტვრეოდა, ის ახმა-ხი-ეი, ის აქლემი, ურახუნებს და ურახუნებს? ვითომც აქ არაფერია!

— დათვია

— ამბობენ: ვირიც არისო!

— რას ჰყვირი კაცო: მთელი ჯორ-ცხენაა!

კვლავ რახუნი მოისმა' მხოლო ახლა კარებზე,

— ვერ აიტანა ფანჯარამ რაკუნი ახმახმახისაო

და გაუგზავნა კარებსა: „გიგზავნი კუდა-ვირისაო“

წარმოსთქვა ექსპრომტად შალვამ.

— მგოსანი, ხარ ჩემო შალვა.

— ვაცხადებ უკანასკნელად, ოფიციალურად, რომ ის ვაფბატონი, რომელიც კარების უკანა დგას და ურახუნებს, თუ ამ წუთში არ შემოაღებს კარს და არ დაალაგებს ვახშმისათვის ნაყიდ საპმელებს, დავკეტავ კარებს და ამ ცივ-ღამეს კიბეზე გავათენებინებ

— ჩინებული გადაწყვეტილებაა'

— შემოდი კოლლეგა.

— კვლავ გაისმა რახუნი.

მოთმინებიდან გამოსული გარსევანი წამოხტა ზეზე, გაღო კარა და გავარდა გარეთ რადა ჭკუა ესწავლებინა გიორგისათვის ბავშური მასხრობის გამო.

ეზოს ლიფლიფის შუქზე მან დაინახა ვიღაც უცნობი კარგად გამოწყობილი კაცი, რომელმაც ჰკითხა მას:

— უკაცრავად... შეგაწუხეთ! თქვენ გეცოდინებათ: რომელ სართულში სცხოვრობს გერონტი ქორია?

გარსევანი ელდანაცემივით შემოვარდა ოთახში, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ყველა იმ ეპიტეტმა, რომელიც კი ოთხში სწარმოითქვა, უცნობის ყურამდე უეჭველად მიაღწია... **გუგული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძე
(1855—1917)

ივნისის 10 კარგადიგვანდა ნიკ. ტარსაიძე, ძმა ტნობილ თვალის ქმაბ ეგენ ტარსაიძისა.

ნ. ს. დაბ. 1855 წ. დეკემბერსთვის 10-ს. ვიმნაზიაში სწავლის შესრულების შემდეგ, ხარკოვის უნივერსიტეტში დაამთავრა უმაღლესი განათლება სასჯულმეტყველეს ნაწილზე და 1879 1891 წლამდის რუსეთში მსახურობდა კანონმიმაღლებულ. 1891 წ. თბილისში კანონიეერებლობდ მაღალ ინსტიტუტ, 1901 წ. დაინიშნა სასოლ-ქო სასამართლოს წევრად, სად სიკვდილამდე მსახურობდა.

იგი მეუღლეშეული, ღმობიერი, სასამართალი, თვისი სიტყვის კაცი. მან პირველად შეიმაღლა სასამართლოში, სადაც სიმართლე იყო, სიმის ქართულ ენაზე წარმოება მსურველ მოსაწვიდებას იღებდა ქართველ სიზოგანდებიც— ერთსახად ქარ, ფრან. სიზოგ. კანონების თავმაღალმარის ამსაკაც იყო (სამართ თავმაღალ რეობდა კიდეც), კანონის მამასაზიდიც, მაგრამ თავი კანონ. ბოდის ადგენდა წესებს დიდი ქართველი ეუნდის შესაბეგენად, რომელსაც, სხვათა შორის, ეველა ეკანონიაში უნდა ებრალებინა. მაგრამ სიკვდილმა ადარ აცალა თავისი მიზნის განხორციელება. სიზოგანთა ქართველ სიქმეთა ეუდეშემტეგანარი იყო დაკრძალეს წმ ნინოს სასაფლაზე ბოლოს 13.

სუკეუნდ ეყოს სხვენ მისა! ი—ელი

ქალთა საკითხი ჩვენში

(მეორე შენიშვნა)

„ქართლის დედაო!...
...ჩვენ უნდა ვსდგითთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი;
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხ..
ილია ჭავჭავაძე.

საყოველთაოდ ცნობილია თუ ქალს საზოგადოდ, და კერძოდ ჩვენთვის, როგორც დამონებულ ერისათვის, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მიეხედავად ამისა, ჩვენში ძალიან ნაკლებ აქცევენ ამას სათანადო ყურადღებას; დღემდის ვერ მოუხერხებიათ ჩვენს მოწინავე მანდილოსნებს „გამოსცენ თავიანთი საკუთარი პერიოდული ორგანო (თუნდაც წელიწადში ერთხელ მაინც!), რომ მათი (ქალთა) მოქმედება—სხვადასხვა წრის, თუ პროვინციის, გაერთიანებულიყო და მეტ-ობრად, ძალუმად დადგომოდა წინსელის და წარმოების გზას.

ერთ საკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყანა შეპყრობილია სამშინელი სენით, რომელსაც გადაგვარება-გადაშენება ეწოდება და რა ელმაც არა ერთი და ორი თაობა იმსხვერპლა ამ ხნის განმავლობაში; ბოლოს ხომ იგი მთელ ჩვენს ქვეყანას უქადის ალგვას დედამიწის პირისაგან!!

მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს მოგვეცა საშუალება ჩვენს ნებაზე მოვაწყოთ სწავლა-განათლება და ჩვენც თითქოს (დიდ, მხოლოდ თითქოს) ვსარგებლობთ ამით: მოგეხსენებათ, წარსულ წელს ჩვენში დაარსდა ფრიად საპირო ორი დედათა სასწავლებელი; პირველი ქ. თბილისში „განათლების“ ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანდი

ვინმე ეული, უთვისტომო, მწირი, ობოლი,
ვით ლანდი მარტო, სევდიანი ნისლის ფრთით მსრბოლი—
დავალ ყარიბი, გარიყული ყოველ მხარეზე
და ვსტირი ჩუმად, ვგოდებ ქვეყნის სიმწუხარეზე,..
ტრფობის კოცონზე ვწვავ ჩემ გულსა—წმიდა სამსხვერპლოს,
და ნანგრევებზე სიყვარულის ვქმნი სამლოცველოს.
და ვეძებ, ვიხმობ კაცთა შორის ადამიანებს,
რომელთა ახლო სული კრული მყის მოისვენებს,
მსოფლიოს ვარმით დატვირთული, ტლუ უსავანო,
ცხოვრების ვლნზე შთენილი ვარ მე უთავყანო...

ს. ერთაწმინდელი

ქართველი მაჰმადიანი
გულო-ალა კაიკაციშვილი

ზიაშია. მერე არ იკითხავთ, თუ ვისი შვილები სწავლობენ ამ სასწავლებელში?—ჩვენი საზოგადოების უღარიბესი ნაწილისა.

საკვირველია, ღმერთმანი, ჩვენი მანდილოსნების სიქმე: ქართელ ვაჟთა ეროვნებაზეაში მათ ითავეს და მოაწყეს მოწფოთა გამოკვება და ნეტავ რა დაამავეს „განათლების“ მოწაფე ქალებმა? ნუ თუ ჩვენი მოწაფე-მანდილოსნებისათვის უფრო ახლოს არ უნდა იყოს ეს ერთად-ერთი დედათა სასწავლებელი!?

ერმალოზ კანი



მსახიობი ვასო არაბიძე
ბაქოს სამსახტერო-სადეტერტორო წრის რეჟისორი, ივნვის 22 ბენეფისი აქვს

ოქის მსხვერპლი

ბრანპორჩიკი
სოლ. ი. ხომერიკი
ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ ეროფილი ასოთამწყობი

სასწავლარო ამბავი მოგვითხრობს ერთ ერეულ ბრძოლის ველიდან: მოუალავთ პროპორჩიკი სოლომონ ილარიონის-ძე ხომერიკი, ჩვენი ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ ასოთამწყობი.

სოლომონ გურული იყო სოფ. ლეხოურელი, ღარბი ველის შვილი. სოფლის ორკლასიან სკოლაში სწავლის დამთავრების შემდეგ თბილისს „ვერმესის“ სტამბაში შევიდა, სადაც ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდებოდა. ცოდნის წყურვილით გატაცებული სოლომონი მხოლოდ ჟურნალის აწყობის მესწავლეს შეუდგა, სუფეთფოსად შეიარა ბელობა და ხალე მთელი ჟურნალის აწყობა-შეკვრა თვითონ იკისრა. იყო შეგნებული და გამბერი. მეშმა, თვითგანვითარებას მისდევდა, სამომავლოდ ემზადებოდად და ბოლო ხანებში რამდენიმე სეანსიც დასწერა სოფლის ცხოვრებიდან. ომი რო დაიწყო, მიხვდა მალე ჯარისაკად გამიწვევენო, თვისიანი ღამიდან მეც-დინებიო მოეზხადა, პროპორჩიკთა სკოლაში შევიდა, 1915 წ. სწავლა დაამთავრა და სამსახურშიც გამწესდა, სადაც მალე თავი გამოიჩინა, როგორც მეკაითმა სარდალმა და თანამოსამსახურეთა მოყვარულმა. ბასელ წლის გიორგობისთვის 24 კრაპატებისკენ გაიწვიეს ბრძოლის ველზე, ხოლო ამავე თვის 27 საღამოთი მოკლეს. (ფანტარით დაწყრეტულ-დაუთავრებელი წერილი უპოვეს უბეში). ბედკრეულს ვეღარ ეღირსა თავის საყვარელ სამშობლოსა და საქმეს დაბრუნებოდა.

დაუვიწყარი იქნება ხსოვნა შენი,

ი—ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსე მწერალი

პიესა 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან

ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული გრ. საქარიქიდელის მიერ

გაგრძელება, იხ. 1916 წ. „თ. და ც.“ 2)

მოქმედება მესამე

სცენა პირველი მოქმედებისა. მწერალი ზდგას მაგიდის ახლო, ხელში უჭირავს ქაღალდი, მოწყენილობა ეტყობა, მოშორებით ზდგას კანცელარიის მსახური)

მწერალი და მსახური

მწერ. გლახა დღეში ჩავარდი, ამაზე იტყვიან რომ ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანსო. ისეთი საქმეები გამიკეთებია! შარშან უფრო ყოლბი მოწმობებით გადავარჩინე სასლდათოები: ეხლა კი, ვლახთან არის საქმე...„ვოენნი სლედოვატელის“ ეკსტრენი მოწერილობა, (ქაღალდზე იტერარებ) საქმის გამოსაძებლად მოდის, მწერს უნათლოშვილები ათანასეკ მღვდელი დაიბარეო, მამასახლისი და კეთილ-სინდისიერიც არსად წავიდესო. უსათუოდ ოქრუას საქმის შესახებ მოდის. ვინმე „უდანოსებენ“ უნათლოშვილის ბიკსა (გაიაგდ-გამოიგდის ჩქარა.) (მსახურს) ბიკო, იყავი უნათლოშვილებისას?

მსახ. გახლდით, ბატონო, ძალიან შეშინდნენ, ელდა ეცათ.. მითხრეს ეხლავე ჩამოხლეთო. (ტკერდზე) ამ ჩვენ მწერალს რაღაც ფარსაგი დამპრავია, აი ღმერთს თუ ეკითხოს ძველი და ახალი ცოდვა.

მწერ. წადი ბიკო, კიდევ და მალე ჩაიყვანე უნათლოშვილები (საათს დასცქერის) საცაა მოვა „სლედოვატელი“. მღვდელსაც შეტყობინე, მობძანდეს. უთხარი საჩქაროდ გიბარებენთქო. (მსახური გადის)

(ბაუზა) გასაწყვეტი ხალხია ეს გლეხკაცობა. არაფითარი სიღდუმლოების შენახვა არ შეუძლიათ. ყველაფერი უნდა წამოიყოროყინონ ამ საქმის შესახებ უსათუოდ უნათლოშვილის ბიკებმა სთქვეს სადმე... საქმე მთავრობის ყურამდინ მივიდა... სასტიკი გამოძიება იქნება... თავის თავი დაღუპეს, მე რას დამაკლებენ. ქაღალდი არ დამიწერია არც შემიმოწმებია მღვდელმა და მამასახლისმა შეამოწმა და ამით ავორ პასუხი. კიდევაც რომ დაწერა მაინც ალვილდ გამოვიძვრენდი თავს... ჩემ კატოს ახალი „სლედოვატელიც“ ძალიანა

II

ალგეგა და ბაბალე

ბაბა (შეშინებული) ბატონო, გულ-გახეთქილები წამოვედით. ძალიან შეგვეშინდა. „სტროოგმა“ გვითხრა: მწერალი საჩქაროთ გიბარებთო. მიბძანეთ მალე, რა უბედურებაა ჩვენ თავს? გვითხარი გაგვიგებინეთ.

მწერ. იცით რა, დღეს „ვოენნი სლედოვატელი“ მობძანდება საქმის გამოსაძიებლად.

სოფ. რა საქმისა, ბატონო?

მწერ. რა საქმისა და ენაზე რომ არაფერი დაგადგებთ. ოქრუას საქმიზა მოდის „დანოსი“ შეუტანიათ.

ბაბ. (ოყვირებს) უი, შვილებო, დამიდგეს თვალები, ვიიმე ჩემო დაღუპულო ოჯახო ღაგღუპეთ შვილებო, დაგღუპეთ...

მწერ. ყვირილით არაფერი გაკეთდება. საშიში არაფერია. „სლედოვატელი“ გაითხავთ ვინ მოგცათ მოწმობებია, მღვდელმა-თქო უპასუხეთ ვინ შეადგინა-თქო თუ გაითხოს მღვდელმა შეადგინა და მე გადამაწერინა-თქო. ასე უთხარი შენ, სოფონა, გესმის?

სოფ. მესმის ბატონო, მაგრამ, გერი ხარო რომ მეკითხოს რა ვუთხრა.

მწერ. (ჩაფეკრდება) უთხარი ეგრე არის გერი ვარ-თქო. ამას მღვდლის მოწმობაც ამტკიცებს-თქო.

სოფ. კარგი ბატონო, ეგრე მოვახსენებ,

ოჭრ. ბატონო, „ხომ გაგიგონიათ „რუსი ურმით გდეკსოო. რუსის მთავრობის მოტაუეება ძნელია კიდე გვითხარი, დაგვარ-გეთ რა უთხრათ.

მწერ. როგორც გითხარით ისეთ, მეტს თქმა არ არის საკირო.

ბაბ. ნუ გეშინიანთ, ბიკებო, ისეთი კარგი ს იზმარი ენაბე, რომ ფიქრი არ არის. წუხელი, ვითომ ჩვენი გაყიდული ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები მოსულიყვნენ შინ და მარილს ვამბევდი პირუტყვი რომ ასე კარგად დაგესიზმრება— კაცის შ'ვიდობა იცის.

მწერ. თქვენ ეხლა გადით გარეთ, როცა დაგიძახოთ მაშინ შემოდით. მალე „სლედოვატელიც“ მოვა,

ბაბ. კი ბატონო გიიბლებით. შენ იცი და შენმა ღმერთმა, შენ შეგიძლიან ჩვენი დაღუპვაც და გადარჩენაც.

მწერ. (დაჯდა) ხო კარგი, წადით გარეთ, ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის.

ხოფ. ლაპარაკი კი არა ბატონო, მე ძალიან ჯავრში ჩამაგდო ამ საქმემ.

მწერ. კარგი გადით (მწერალსად. ბაბადე, ხოფონს და თქვენ კაჯაან),

მწერ. (კარებიდან უძახის) ბიკო, მამასახლის და კეთილსინდისიერს დაუძახე შემოვიდნენ.

III

მოდის **მამასახლისი** და **კეთილსინდისიერი.**

მამასახ. მოსე, დღეს მართლა ოქროა უნათლოშვილის ბიეს საქმიზა მობძანდება „სლედოვატელი“?

მწერ. შენ ვინ გითხრა?

მამასახ. მე კი არა, მთელმა სოფელმა იცის, რომ ბაგრატ ქნენ ქაძეს შეუტანია არძალი მამასახლისმა და მწერალმა გადაარჩინა სალდათობიდგან უნათლოშვილის ბიეო. იმთ გაუკეთეს ყალბი მოწმობებიო ხალხში ლაპარაკობენ, მწერალი და მამასახლისი ორივე დეიღუპებიო. ორივე ვირის ამბანოს ნახავენო. ხალხს ძალიან უხარია.

მწერ. უხარიათ? უხარიათ? მე ვაჩვენებ მათ როგორც უნდა სიხარული.

კეთილსინდ. ჩვენ არაფერ ხლაფორთში“ გაგვაბა ბატონო.

მამასა. ჩვენ შენზე ვართ მინდობილი, შენი იმედი გვაქვს.

მწერ. თქვენ ნუ გეშინიანთ. როცა „სლედოვატელმა“ გკითხთ მოწმების შესახებ, ასე უთხარით: ქალალდები ათანასე მღვდელმა შეადგინა სიტყვიერად და მერე სოფონას დააწერინაო. მოსე მწერალი სულაც არ ყოფილა ამ დროს ჩვენთან და არც რამე გაუგია ამ საქმისა-თქო. ჩვენ მღვდელს ბეკედი რომ დაეინახეთ დასმული ქალალდზე ჩვენი ბეკედიც იმიტომ დავასვითქო. გიგიეთ მასთე უთხარით და თქვენ არაფერი გიშავთ. ეხლა მამასახლისო, წადი ვისმე სადილი დაა. მზადებინე ხომ იცი „სლედოვატელს“ უსადილოთ ვერ გოუშვებთ.

მამასახ. ვის უთხრა სადილის დამზადება. ხალხი ძალიან აეხეერებულია ჩვენს წინააღმდეგ. გაგვატყავა მწერალმა და მამასახლისმო, ოიახიან. დღეს „ვოენი სლედოვატელთან“ უნდა ვუჩივლითო.

მწერ. მიჩივლონ, მიჩივლონ, ბევრჯერ მიჩივლეს მაგრამ ვერაფერი დამაკლესრა. შენ წადი და როგორც გითხარი ისე მოიქეცი.

კეთილსინდ. მე მეგონი დღეს სადილი უნათლოშვილებმა უნდა მიართვან „სლედოვატელს“; ოიმთ საქმისთვის ?მოდის.

მწერ. წადი, მალე დაიჩქარეთ. (კაჯაან, მამასახლისი და კეთილსინდისიერი).

მწერ. (კიოვდ-კაშოიდს ჩაფიქრებული) ვაი თუ ჩემი დარიგება დაავიწყდეთ, ან და ერთმანეთში პირი შეკრან ჩემ წინააღმდეგ-მაგრამ არა ვერ გამედავენ. კიდეც რომ გაბედონ მაინც ვერაფერს გახდებიან. (შემოდის მსახური)

მსახ. ბატონო, ვგონებ მობძანდება ჩვენი უფროსი.

მწერ. ვინ უფროსი ბიეო..

მსახ. ქე რომ ელოდით, ბატონო, დღეს რომ უნდა მობძანდეს.

მწერ. „სლედოვატელი“ ბიეო?

მსახ. რა ვიცი ბატონო, რა ჭვენან. ჩინოვნიკი კი არის, „პენლატები“ აქვს. დიდი კაცი უნდა იყოს.

მწერ. წადი მიეგებე, ცხენი ჩამოართვი, ის იქნება. (შეურაჯი მაგიდაზე ქაღალდებს ადგაგებს, ფეტურობს, ჭეშ-ოქთ ბიჯებს დაბნეულად. შემოდის კამოძღეებული ორი ჩაფრით)

IV

ეიგეკ **ბამომძიებელი. ორი ჩაფრი**

ბამომძ. Здраствуй, Мойсей Ивановичъ (ხელს ართმევს) რა ამბავია თქვენ კანცელარიაზე? (ბორტფელს მაგიდაზე დებს). ყველა გაკვეს დაბარებული?

მწერ. კი ბატონო, ყველანი არიან მხოლოდ ჯერ მღვდელი არ მოსულა, ისიც მოვა (ბაუზა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომძ. ეკატერინა პავლოვნა შინ ბრძანდება?

მწერ. შინ ვახლავს. ხომ არ მიბძანებთ დავუძახო.

გ. მომძ არა, **Нѣтъ!** დღეს ბევრი საქმე მაქვს. თანაც ვეფდური ეკატერინა პავლოვნას. გუშინდამ ძალიან ადრე მიგვატოვა.

მწერ. (სიფიდით) რასა ბძანებთ, ბატონო, ნაშუადამეკის საში საათი იყო რომ მოვიდა.

გამომძ **Нѣтъ, мы еще долго сидѣли...**

მწერ. უსაფლო ხომ მაინც ვერ წაბძანდებით. მოიფიქრეთ კატოც გვაბლებთ.

გამომძ. **Нѣтъ!сегодня некогда,** ბევრი საქმეები მაქვს (მაკიდასთან მივა და ქაღალდების ამოიღებს მოიფიქრდიდან. შემოდის ორი კაცი.

გრ. საქარიქიდელი

(გაგრძელება იქნება.)

ნაშთი ძველის დიდებისა

ძველი ქართული საეკლესიო ფრესკების გამოფენა

ნაშთი ძველის დიდებისა
არ გამქრალა ჯერეა კიდე!..
ალაკი

ეროვნული ქართველის სასმაოო დღე ოთ გასული კვირა—ივნერის 8.

ამ დღეს თბილისის „დიდების ტაძარში“ ვნახეთ ჩვენი დიდებული წარსული ხელოვნენის ნაშთები,—ქარა. სეფ.-სასტარი და ქართველ ხელოვანთა სახოგადოებათა-მიერ გამოფენილი.

რაგდენის ისეთი ყველანიერი ქართველი რომ ეფნო ქველენების მეზეუმები დაეყვანა. დიდი ბრძენეფოთს, სიფრანგეთის, რომის... ამისთვის არ დეუზოგავენ დრო და ფეფდი. ოდიო ჩვენი ბატარა სამშობლოს კედელია—მონასტერები რომ თეთო მეზეუმს წარმოადგენენ, ეს თავო ვერ შეეშინეეთ!.. ეგრეთ-ოეფდ ეანსწავლეფდა ქართველის ახრი და ფეფერი ვერ ეაქნა და ვერ მიეხედ სამშობლო ხელოვნების ნაშთების სიცვეეს, სამაგიეროდ თეთო ეს ნაშთები, ერთად შეკრებილი (ეერ ხნიბთ ნაწილი). მზა-მზარეულად წარმოეფდ ოთვისი ქველენის შესწავლაზი ეერაე ქართველენ...

ეკეინენეს ძველი დიდებული საქართველოს ნაშთები ეკეინენეს ჩვენი წარსული თვითშემოქმედის, საკეთარი სული, საკეთარი სახე..

ამ ეკმოფენილია საქართველოს ძველ ეკლესია-მონასტრებში დაცული, ნახევრად წაშლილად ეკდარეეფილი ნახატ-სურათების სანდნ. ეს სურათები ეკეინენეს მსატვრობის ხელოვნენის, ძველი დროის ქართველენ ჩაეფა-ტანისამოსის მოკაფდეფრანდობის, სახეთა სხვა და სხვანობის და სხ. ეკდაეფილია ეეფეფული ტაძრენი, რომელთა ნეკეურობეეი და მოეკანილობის თვალსაჩვენო: ეაქვეს ძველის ძველი საეეფსოო ხელოვნურენის პირველ კაბადონთა ფოტოეურეფეფული სურათები და სხ.

ეს ფრესკენი ეკდმოეეფილია ეეფეფული დროის ნახატებიდან. სხვათა შორის ეთის ფრესკა, ვახტანგ ეორეკანაეი რომ ბეეერე კათალიკოსს (მე-5-ე საუკ.) საკათალიკოსო მატრას ძღვნეს... ეეფეფული ფრესკა 853 წლისა.

ეოოველი ფრესკა ეკდაეფილია დადის საეფრთხეთით, ეეერენის მტკიეეე დაეეეთ, თეთო ეალმ ნაკეფანენთაოგ-კი (ერთ ფრესკაზე—ჩვენი დროის ეეფდერანიკენ რეეფილი ნაკეფანენი-კი).

ფრესკენი ეკდმოეეფილია ეეფთფრესად ანადგანდეა მსატვრენის (ანანთო რეეზე): დ. ეეფდაეეფილი, ე. ეერანოვანს, ინ. თოდეეეს, დ. კეკებაძეს, ნ. ეეფეფდანაძეს ე. ეკაეეფულს, ე. ხანდაეაძეს. რაეფდენამე ფრესკა ნამეეეეეფრანა, ეეფიანდ მსატვრენ ე. თოთანოს, ნიარეეეეეფდ მსატვრენ ქრ. კრონენს, ეერანეეეეანოს, ქიეენის. დაეხმარენ ადმოეეფენია მეესეეეეეეეს.

ნახატები ეეფმოადგენენ ანდმრთო ეეფადან შინაარსენ სურათენს, საქართველოს ეეფანდანენს, ეეფეე ადდეეეეფდო, მთავარო, სხვა და სხვა ეეფადენ კიდო და სხ.

ნაეეეერი მსატვარ-მოქანდაკე თუ ხელოვანი ადდეარ ეეფაროს ნახავს ამ ეეფადდეფდ ნახატებეეი.

ჩვენი ანეეფოეეფოეი თ. ეეფრანანი ტაეეფალაკი არ ეეფდადდეფდა ეეეეფდს, ეეფარა ეეანტრონეეფ და კანდოოადეეფ, რაც ძველ მონასტრებში ნახატენი დაცეეფდა, თუ ანეეფრო ძველეეფერი ქართველი იყო, ტანისამოსი, ჩაეფა-მორეეეეფდობა ეეფიანეეფდოთ და სამშობლოო ხელოვნენის ადეეფანენის სანერეეფდი ეეეეფარეთ.

დიდიც, ჩვენი ხელოვნების კიეეეეფრანენეს მეოდად ჩვენი ეეფარსეეფის ნაშთების შესწავლაადდეკენსეე ეეფდა დაეეეეფდენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ბევრი რამაა გაშოფვნილი, ხოლო ფა-ნელიეე ეს ფრთად მგარე ნაწილდა ამ ნნაშუამის, რომელებიც ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის ეკალეთა მოსასტრეფშია ან თანდათან ჭქრება ეკ-ლურ „ეანმანთალეებედად“ ხელთ ანუ ენამა-ქანთა.. ჩქარა უნდა პატრონობა, რომ სამუდამოდ არ გაჭქრეს...

ეს სწორედ ამის ეგალეებდა როგორც საერ-თოდ ქართველ სასწავლებლის, ისე კერძოდ ქართ. თავ.-ეანოვრობის ქრთ. საეთნოგრ.-სასა-ტრფოო სასზ-ის თავმჯდომარე ეექ. ეგ. თაეიაშვი-ლი რომელმაც ეკალეთა ეკალეთის, ანეგრელ 8 ეტ-ან სიეეეთალდენი ეერეეთალ სიტეეეა ეარმოსა-ოქეა. პატეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ქართული სავალდებულოა, ახუთმეტი ან ოცი... ზოგი ვერ ბედავს გზიანოს სკოლაში ბავშვი, რადგან, თუ ეს ჩაიდინა, ხოჯას სიტყვით, მკვდარი წაუწყდება...

ნუ დავავიწყდება, რომ მთავრობის სკოლაში ხოჯა ან მოლა ასწავლის მუსულმანურ საღმრთო სჯულს, რისთვისაც ხაზინიდან ჯამგირსაც იღებს. დიდი დაფიქრება არაა საჭირო, თუ სად უფრო ნაკლებ გამოყურუდება ქართველი მუსულმანი ბავშვი. სკოლაში, სადაც ხელმძღვანელია პედაგოგიკის ცოდნით აღჭურვილი მასწავლებელი, ის სჯულსაც შეისწავლის და სხვა ცოდნასაც შეიძენს ქართულ ენის საშუალებით... არაბული ენა, ისეა თუ ისე უნდა ისწავლოს... ოსმალური ენა-კი ბისთვის ზედმეტი ბარგია... ამ უკანასკნელი ენის ბრალი იყო, რომ აქამდის ქართველ მუსულმანები გაურბოდნენ ქართველ ქრისტიანებს და თუ ზოგიერთ ხოჯების მრული მიმართულებას, ქართველ მუსულმანთ შორის სწავლა ცოდნის გავრცელების ხელის შემშლელს, ბოლო არ მოიღო, თუ მთ ხოჯებად ან ეფოლებათ ტფილის მსგავსი ზეგარდმო მაღლითესებული ადამიანები, ყოველივე დღევანდელი ცდა **ამაო იქნება და არავითარ ნაყოფს არ გამოიღებს.** კვლავ შეუქნია მოპბეროს ფანატიზმის სიომ და შეიძულოს ქართველ მუსულმანებს თვისი დედაენა და „ქართველობა“ სახელწოდება.

ბ. ჰაიდარბეგ აბაშიძის ჰაზრი ნაადრევი კი **არაა,** არამედ სწორედ დროს შესაფერია., ეს **ჰზრი** განგების მიერ ნაკარნახებია... მასშია ჩამარხული ის ხის ფესვი, რომელსაც ორი სჯულის ქართველები ერთმანეთს უნდა მყობადში მტკიცედ დაუყენებიროს თუ ხოჯა, ფანატიზმი, ბნელი ძალები ცოდნის გავრცელებას ხელს შეუშლიან, თუ ხოჯა ქართულ ენის მაგვარ ღ გაჯერცელებს ოსმალურს, ყოველივე, რაც სკოლაში კეთდება, ძირს დაემხობა... თითო-ოროლა თუ გაღურჩება ხოჯას გაგლენას... თითო ოროლა კი წვეთი იქნება ზღვაში... „ვინმე მუსულმანს“ ჩვენი მთავარი ჰზრი კი ნაადრევად მიიჩნია, თუმცა პრინციპიალურად არ უარჰყოფს და ამით **ადასტურებს,** რომ ჭეშმარიტს ნიადაგზეა ღმოცენებული. ქართველ მუსულმან ინტელიგენტთა მოთავეობაა დაუახლოვდენ ხალხს და ფრთხილად გაურკვიონ ის. რაც **ჰრსებითია** სჯულში და რაც **მეორე ხარისხოვანია...** ყოველი ღონე უნდა იღონონ, რომ შენელდის და შესუსტდეს დროებით მათ შორის მაძინებელი ფანატიკოსობა, რასაც სჯულის სალს და ჰრსებითს მოთხოვნილებასთან არავითარი საერთო არა აქვსრა—და ხალხს კი ამბრაკვებს და მის კეთილდღეობას საბრაკს უჭრის.

შენი **ჩაკუნი**

ქართ. დრამ. დასმა „ახალი კელეთის“ სცენაზე (8/I) შუადღისას წარმოადგინა „ოქრძა“, ვ. გუნთასი, რომელსაც ჯერეკელი ხალხი დაესწრო, კინსაკუთრებით მოწეფენი და მოზარდი თაობა. ბიესის მიმზღვაბა ეკლდ, სამარტყოლოდ ზოგჯა რიდიც კი ჰრ იტოდა: ეზერხული ბიუსები და მოკანტასის მაღალი ბუნებული,—ი მთა სიბეჭვის შეგეგი. ვერტ დამსწრე ასზოგადოების ზოგიერთი ეკვრნი იტყოდენ ეუსს: წარმოსა კარის კაღეს და სათაკტრო დარბაზში შემოსდეს კაღეს ტეკლდება.— ეკერ ოკენ და ეკერ კიდე ეკერ შეეკვნეს, ეისიტ ეკერ ანს, რომ სეენ სეკეურსეეკედა,—ამიტომ მუნ მწერეკელი დიდის მოკრძალებით ეუნდ მიეკლდ-მსახურებდეს,—ხიდი სასტენო დარბაზი ეკლეესა, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინოფოსაც უნდა იდგეშოდეს, უსდრესი ეურადღება მოექცეს. „ენინდელ ლისმი ირიგეზეთან ტ. ალაშიძე, ნ. დეკოთაშვილი, ნ. ჯაკეზაშვილი ი. ზარდალიშვილი, ნ. ბეგრაძე, ე. ინშნერი სანდასანა ვ. ბეგმერედიეზე, ბ. ფრონსეზიერეი და სხ. ეს ამთა რა მოიხდომაზან — ბანა ქართულ სასცენო ხელოვნეზის (მიმოსეზრა, სახიერეზის ხმა, ბანდალს და სხ.) არ ანმდგეზენ და ეეზრო სიეეზრადღეზოა არ შეეემანენ?!

სიეეზოა, სიეეზოა ეეტი ეეეეიოოა, მეო ეეეეეტი, რომ ქართველი ხალხი დიდის ეეეეეზელით ეეზოეეა ოეეტრის ეეეოოს... **უსაეეანო**

ანეთურ-ინეთური

მილიონერები ამერიკაში რომ ჩეენეეეეთაა, ეს ეიდენ არ იცის, ხოლო თეეამიდენი იენეზოდა. ეს ეეიიძლება ბეეერმა არ-ეი იეეოდეს. ათი ეწლის განმაელობაში აკ **4815** მილიონერი მომეეედარა ხოლო ამაზე ეეყრო მეტი ეოცხლია ეა მილიონერის ეეეეენენ-ეეი ერთმანეთს ეეეიშეეა გარეკითა და ეეორს გმოკეერეტეელობით

თეეზეის გოლიათობა თუ არეეის გაეეგონია—აკ მოისმინოს: ჰოლანდიელ მეეეეზეეეეს დაუეეერიათ ერთი ეეზრა-ეზაზრი თეეზეი, რომელიც 1500 მანათად შეეეფასებიათ.

ანა ბსმელიც ანეთი უნდა, აი, რუსეეთში რო გამეეეეენილა! ანობეენ, პეტროეეეგრადის ეერთ ცნობილ ბანკონს საანალწლოდ ო�ეი დეეეენი ზამპანონური ეეეიდენია, ბოთლი ათ თეეენად, სულ ორი ათას ოთხას თეეენისა (24000 მ). მართალია, ერთსელ ღეეინის სმაში კაპელი გლეეი იმერეელ გაეეკიბრა, ვინ ეეყრო ბეეერს დაღეეეყსა და ერთ ეკეერზე ერთი თაბახი (გოტი) ღეეინა გადაყლაპა, მაგრამ არც რუსის ბანკირი ყოფილა ნაკლები ბიეი, მფლანგეეელობით მაინც, თუ ეს ზამპანონური თეეეთონ გადაეწრუპა! მოდი და სამართალი ეეძიე: ზოგს ეეყალია ეეერ ეეეეიდნია ზოგი-კი.. ზამპანიურში ლიეელიეეს! ჰაი, ღედასა!

თვალთმაქცს რომ იტყეეინ, სეწორედ ეს ეეიღაე ბეეაეეი ყოფილა, რომე იც სტოკეოლმის ერთს ეეიკეეზი ყოეეელ სალამოობით ერიალდ ეა ზეკრებილ ხალხს ეეინაეეზე, ეეზეეტიან ლერსებებით მოოეეეელ ფეცარზე მთელი 6 ხეეეენი საათი ზის და ეეეექეეეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

სათეატრო-სალიტერატურო, სამახატვრო ყოველთვიური ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

აკაკის „ნაკვლევები და გრძნეული სიტყვები“ ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჭ. ლომთათიძის „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრამისული ემიგრაციისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

ჟურნალის ფასი ორივე პრემიათ წელიწადში დარს **8** მან. ნახევარის წლიათ. 4 მან. **50** კაპ. თითო ნომერი ეღირება 15 კაპ ფეფლის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., 1-მაისისშდეგ—3 მ. 1-ელ ნუკეტისოვეიმდე 2 **ხელის მოწერა მიიღება:** თბილისში, „სარაპანის“ **სტამბის კანტორაში** (მაღათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერი ფული უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: **Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Иосифу Имедашвили.** რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ქართ. საისტ.-საეთნოგრ. საზ-ისა და ქართველ ხელოვანთა სიზ-ის თაოსნობით „დედების ტაძარში“ (ეკოდოვინის ბრალსმეკტზე) **გაიმართა**

ძველ ქართულ საეკლესიო ფრესკების

გამოფენა

გამოფენა გაიღო იანვრის 8, შუადღის 1 ს. ღიაა ღილი: 10 საათიდან შუადღის 4 ს-დე შესვლის ფასი—50 კ.. მოწაფები—25. კ.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტზე, № 163)

ერთი კვირის პროგრამა იანვრის 15-22

ოკტომბალი—სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი—სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი—ქართული წარმოდგენა,

ხუთშაბათი—ოპერეტა რუსულ ენაზე.

პარასკევი—„არ ვინ ძალ-ალან“, ქარ-თულად

შაბათი—რუსული წარმოდგენა

კვირა—სიმებიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები—25 კ. მამაკაცნი 50 კ.

დასაწყისი: წარმოდგენა—კინოტეატრებისა საღ. 8 ნახ. ს.—სინემატოგრაფი—9 ს.

ახალი კლუბი

კვირის პროგ. იანვრის 15-22

კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთები 50-30 კ.

ოკტომბალი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

სამშაბათი—საოჯახო საღამო

ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ.—საოჯახო საღამო

კვირა—რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ სა. **შესვლა.** ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაცნ. 1 მ.

ქუთაისში
ბ. ლაკერბაიას ქარხანა
ბ. ლაკერბაიას ქარხანა
ბ. ლაკერბაიას ქარხანა